სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

ბრძანება № 37

2014 წლის 29 აპრილი

ქ. თბილისი

გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2014 წლის კონკურსის გამოცხადების, კონკურსის ჩატარების წესისა და საკონკურსო დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცების შესახებ

,,გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის N85 დადგენილების, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ", ,,ე" და ,,თ" ქვეპუნქტების, სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო საბჭოს 2014 წლის 25 თებერვლის N3 სხდომის ოქმის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს ,,გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2014 წლის კონკურსი".
2. დამტკიცდეს ,, გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2014 წლის კონკურსის ჩატარების წესი" ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად;
3. დამტკიცდეს ,, გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2014 წლის კონკურსში" პროექტის წარმომდგენი იურიდიული და ფიზიკური პირების ერთობლივი განცხადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N2-ის შესაბამისად.

4. დამტკიცდეს ,, გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2014 წლის კონკურსის“ საპროექტო წინადადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N3-ის შესაბამისად.
5. დამტკიცდეს ,, გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2014 წლის კონკურსში“ წარმოსადგენი პროექტის ბიუჯეტის ფორმა ამ ბრძანების დანართი N4-ის შესაბამისად.
6. დამტკიცდეს ,, გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2014 წლის კონკურსში“ წარმოსადგენი პროექტის რეზიუმე ამ ბრძანების დანართი N5-ის შესაბამისად.
7. დამტკიცდეს ,, გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2014 წლის კონკურსში“ წარმოსადგენი პროექტის მონაწილეთა ავტობიოგრაფიის (CV) ფორმა ამ ბრძანების დანართი N6-ის შესაბამისად.
8. დაევალოს ფონდის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების განთავსება ფონდის ვებ-გვერდზე: www.rustaveli.org.ge.
9. ბრძანება ძალაშია მისი საჯაროდ გამოცხადებისთანავე.
10. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

თინათინ ბოჭორიშვილი

გენერალური დირექტორის
მოვალეობის შემსრულებელი

დანართი N1
დამტკიცებულია
სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო
ფონდის გენერალური დირექტორის
2014 წლის 29 აპრილის № 37 ბრძანებით

გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2014 წლის კონკურსის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების (შემდგომში – გრანტი) მიზანია, ხელი შეუწყოს გამოყენებითი და ტექნოლოგიური ხასიათის სამეცნიერო კვლევების შემდგომ განვითარებას, ღიად გამოცხადებული საგრანტო კონკურსის (შემდგომში – კონკურსი) გზით შეარჩიოს და დააფინანსოს გამოყენებითი ხასიათის სამეცნიერო-კვლევითი პროექტები.

2. კონკურსი იმართება ღიად და საჯაროდ, გამჭვირვალე კონკურენტულ გარემოში, დამოუკიდებელ მაღალკვალიფიციურ ექსპერტიზაზე დაყრდნობით.

3. კონკურსში შეირჩევა და დაფინანსდება კვლევები, რომლებიც მიზნად ისახავს საერთაშორისო ან ადგილობრივ ბაზარზე მოთხოვნადი მაღალტექნოლოგიური ინოვაციური პროდუქტის შექმნას. კვლევას შედეგად უნდა მოჰყვეს ახალი/გაუმჯობესებული პროგრამული უზრუნველყოფის, მასალების, სამკურნალო საშუალების, მოწყობილობის, კონსტრუქციის და ა.შ. შექმნა სამრეწველო ნიმუშის/პროტოტიპის სახით და შესაბამისი ტექნოლოგიის შემუშავება/სრულყოფა.

4. კონკურსი ტარდება „გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის N85 დადგენილებითა და წინამდებარე ბრძანებით განსაზღვრული წესების შესაბამისად.

მუხლი 2. საგრანტო კონკურსის ადმინისტრირება

1. კონკურსის სრულ ადმინისტრირებას ახდენს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი (შემდგომში - ფონდი).

2. ფონდი უზრუნველყოფს:

ა) კონკურსის გამოცხადებას კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ბ) საკონკურსო დოკუმენტაციის კონკურსის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას;

გ) კონკურსის ჩატარების წესისა და საკონკურსო დოკუმენტაციის მიღების ვადების დადგენასა და საჯაროდ გამოცხადებას, აგრეთვე, საკონკურსო დოკუმენტაციისა და პროექტის შესრულების შუალედური და საბოლოო ანგარიშის ფორმების დამტკიცებას;

დ) პოტენციური აპლიკანტებისათვის პროექტების მომზადებისა და კონკურსის პირობების გაცნობის მიზნით საკონსულტაციო სემინარების ჩატარებას;

ე) ექსპერტთა მიერ პროექტების შეფასებისთვის აუცილებელი პროცედურების ადმინისტრირებას;

ვ) ექსპერტებისაგან მიღებულ შეფასებებზე დაყრდნობით დასაფინანსებლად შერჩეული პროექტების გამოვლენას, დამტკიცებას, აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში, პროექტში ცვლილებების შეტანას;

ზ) გამარჯვებული პროექტების დაფინანსებასა და მათი განხორციელების მონიტორინგს დადგენილი წესის შესაბამისად.

თ) საგრანტო კონკურსის მიზნებისათვის დადგენილ მოთხოვნებთან შეუსაბამო ან ყალბი ინფორმაციის შემცველი პროექტი შეიძლება მოიხსნას/შეწყვეტილ იქნას კონკურსის/დაფინანსების ნებისმიერ ეტაპზე.

მუხლი 3. კონკურსში მონაწილეობა

1. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ:

ა) წამყვანი ან/და თანამონაწილე ორგანიზაციის სახით – საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, აგრეთვე საქართველოს საპატრიარქოს, საქართველოში რეგისტრირებულ კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებს, რომელთა წესდების/დებულების მიზანია სამეცნიერო კვლევების განხორციელება; უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს;

ბ) ძირითადი პერსონალის სახით – მაგისტრანტს, დოქტორანტს, მაგისტრის, დოქტორის ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე საქართველოს მოქალაქეს.

2. პროექტს უნდა ჰყავდეს სამეცნიერო ხელმძღვანელი, დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე საქართველოს მოქალაქე, რომელიც წარმართავს პროექტის მიმდინარეობას. სამეცნიერო ხელმძღვანელი წამყვან და თანამონაწილე ორგანიზაციებთან ერთად პასუხისმგებელია, როგორც პროექტის სამეცნიერო შედეგებზე, ასევე პროექტით გათვალისწინებული საქმიანობის ანგარიშგებაზე;

3. ერთსა და იმავე პირს ერთსა და იმავე დროს ძირითადი პერსონალის სტატუსით არ შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ფონდის მიერ გამოცხადებულ გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების, ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტებისა ან/და უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსებში გამარჯვებულ ჯამში 2-ზე მეტი პროექტში.

4. ერთი და იგივე პირი ერთსა და იმავე დროს არ უნდა ხელმძღვანელობდეს გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების, ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების ან უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსებში გამარჯვებულ ერთზე მეტ პროექტს.

5. დაუშვებელია გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსში ისეთი საპროექტო განაცხადების შემოტანა, რომლებიც გამარჯვების შემთხვევაში წინააღმდეგობაში მოვა ამ მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებთან, მაგალითად:

ა) ის, ვინც ძირითადი პერსონალის სტატუსით მონაწილეობს 2012 ან 2013 წლის გამოყენებითი, ფუნდამენტური ან უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსში გამარჯვებულ ერთ პროექტში, რომელიც დასრულდება 2015 წლის 31 მაისზე გვიან, გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2014 წლის კონკურსში ძირითადი პერსონალის სტატუსით ვერ მიიღებს ერთზე მეტ პროექტში მონაწილეობას;

ბ) ის, ვინც ძირითადი პერსონალის სტატუსით მონაწილეობს 2012 ან 2013 წლის გამოყენებითი, ფუნდამენტური ან უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსში გამარჯვებულ ორ პროექტში, რომლებიც დასრულდება 2015 წლის 31 მაისზე გვიან, გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2014 წლის კონკურსში ვერ მიიღებს ძირითადი პერსონალის სტატუსით მონაწილეობას;

გ) ის, ვინც სამეცნიერო ხელმძღვანელობას უწევს 2012 ან 2013 წლის ზემოთაღნიშნულ კონკურსებში დაფინანსებულ პროექტს, რომელიც დასრულდება 2015 წლის 31 მაისზე გვიან, შეძლებს გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2014 წლის კონკურსში ძირითადი პერსონალის (მაგრამ არა სამეცნიერო ხელმძღვანელის) სტატუსით მხოლოდ ერთ პროექტში მონაწილეობას);პროექტში აუცილებელია წამყვანი ორგანიზაციის მონაწილეობა.

6. პროექტს უნდა ჰყავდეს თანადამფინანსებელი - იურიდიული პირი/პირები, რომელიც ფონდთან ერთად აფინანსებს კვლევას.

მუხლი 4. საკონკურსო პროექტების ფორმატი

1. საკონკურსოდ წარმოდგენილი პროექტის ხანგრძლივობა უნდა იყოს 12 ან 24 თვე.

2. ფონდიდან მოთხოვნილი საგრანტო დაფინანსება 12–თვიანი პროექტებისთვის უნდა იყოს არაუმეტეს 100 000 ლარისა, 24–თვიანი პროექტებისთვის – არაუმეტეს 200 000 ლარისა.

3. წლის განმავლობაში ფონდიდან მოთხოვნილი საგრანტო დაფინანსება არ უნდა აღემატებოდეს 100 000 ლარს.

4. წამყვანი და თანამონაწილე ორგანიზაციების ბაზაზე პროექტით დაგეგმილი ამოცანების განხორციელებისათვის აუცილებელი ხარჯები უნდა აისახოს ხარჯვის კატეგორიაში „ზედნადები ხარჯები“. ზედნადები ხარჯების მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს ფონდიდან მოთხოვნილი თანხის 10%–ს.

5. პროექტს უნდა ჰყავდეს თანადამფინანსებელი, რომლის თანამონაწილეობა პროექტის დაფინანსებაში უნდა გამოიხატოს ფულადი შენატანის სახით. მისი მოცულობა არ უნდა იყოს ფონდიდან მოთხოვნილი თანხის 20%-ზე ნაკლები.

6. ძირითადი პერსონალის ყოველთვიური შრომის ანაზღაურება - საგრანტო დაფინანსება და დამხმარე პერსონალის ყოველთვიური შრომის ანაზღაურება არ უნდა აღემატებოდეს 1250 ლარს.

7. პროექტის დაფინანსება ხორციელდება საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ტრანშების სახით. თანხები, ავანსის სახით, გადაირიცხება პროექტის მიზნობრივ საბანკო ანგარიშებზე. პირველი ტრანში, ავანსის სახით, გაიცემა საგრანტო ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ. ყოველი მომდევნო ტრანში – წინა ტრანშით გათვალისწინებული შედეგების/თვლადი ინდიკატორების შესრულების შესახებ ფონდში წარდგენილი ანგარიშების განხილვის საფუძველზე.

8. თანადამფინანსებლის მიერ გამოყოფილი თანხა 12-თვიანი პროექტებისათვის სრულად უნდა იყოს გათვალისწინებული პროექტის ბიუჯეტის პირველ ტრანშში. 24-თვიანი პროექტებისათვის თანადამფინანსებლის მიერ გამოყოფილი თანხის სულ მცირე ნახევარი უნდა იყოს გათვალისწინებული პირველ ტრანშში, ხოლო დარჩენილი

თანადაფინანსება – მე-3 ტრანშში. ფონდი პირველი და მე-3 ტრანშით განსაზღვრულ თანხებს გადარიცხავს შესაბამისი პერიოდისათვის გათვალისწინებული თანადაფინანსების თანხის საგრანტო ანგარიშზე ჩარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის საფუძველზე.

9. კონკურსში წარდგენილი პროექტი უნდა შეიცავდეს მოკლე რეზიუმეს, რომელიც შესაძლოა ფონდმა საჯარო გახადოს.

10. პროექტის დასრულების შემდეგ გრანტის სახსრებით შეძენილი ქონება საკუთრებაში რჩება წამყვან/თანამონაწილე ორგანიზაციებს ან/და ფიზიკურ პირს/პირთა ჯგუფს მათ შორის გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით.

11. საკონკურსო პროექტი უნდა ითვალისწინებდეს შედეგების საპრეზენტაციო ღონისძიებებს. რეკომენდებულია წელიწადში ერთი მაინც ამგვარი ღონისძიების დაგეგმვა. საკონკურსო პროექტი უნდა ითვალისწინებდეს შედეგების საპრეზენტაციო ღონისძიებებს. რეკომენდებულია წელიწადში ერთი მაინც ამგვარი ღონისძიების დაგეგმვა. ასევე, რეკომენდებულია პროექტის ფარგლებში მიღწეული შედეგების გამოქვეყნება საერთაშორისო რეფერირებად გამოცემებში, რომელიც ასახულია Thomson Reuter-ის, Elsevier-ის, ERIH-ის ან მსგავს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში.

მუხლი 5. პროექტის ბიუჯეტი

1. პროექტის ბიუჯეტი შესაძლოა ითვალისწინებდეს შემდეგ მუხლებს/ხარჯვით კატეგორიებს:

ა) ძირითადი პერსონალის შრომის ანაზღაურება - აღნიშნული კატეგორია გულისხმობს საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ძირითადი პერსონალის საგრანტო დაფინანსებას.

ბ) დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურება - აღნიშნული კატეგორია გულისხმობს საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურებას.

გ) მივლინება - აღნიშნული კატეგორია მოიცავს ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ მივლინების დროს მგზავრობის, საცხოვრებელი ადგილის და დღიური ნორმის ხარჯებს („დაქირავებულისათვის გადახდილი სამივლინებო ხარჯების ნორმების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის №220 ბრძანების შესაბამისად). ასევე ქვეყნის გარეთ მივლინებული პირის სავალდებულო დაზღვევისა და ვიზის გაფორმებასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

დ) საქონელი და მომსახურება - აღნიშნული კატეგორია გულისხმობს პროექტის განხორციელებისათვის საჭირო, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს №672 ბრძანებით, „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“ საქონელი და მომსახურეობის ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლით გათვალისწინებული ხარჯების გაწევას. აღნიშნული მუხლი არ უნდა ითვალისწინებდეს მივლინების და ზედნადების ხარჯებს.

ე) ძირითადი აქტივები - აღნიშნული კატეგორია გულისხმობს პროექტის განხორციელებისათვის საჭირო, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს №672 ბრძანებით, „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“ ძირითადი აქტივების კლასიფიკაციის მუხლით გათვალისწინებული ოპერაციების გაწევას.

ვ) ზედნადები ხარჯები - აღნიშნული კატეგორია გულისხმობს საბაზო ორგანიზაციის მიერ გასაწევ ხარჯს, როგორიცაა: კავშირგაბმულობის,

ელექტროენერგიის, ბუნებრივი აირის, წყლის, მიზნობრივი/მუნიციპალური დასუფთავების, საბანკო მომსახურების, ტექნიკურ და შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, აგრეთვე გრანტით შეძენილი ძირითადი საშუალებების ტრანსპორტირებისა და მონტაჟის, საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგებისა და ბუღალტრის მომსახურებისათვის გაწეულ შრომით დანახარჯებს.

2. იმ შემთხვევაში, თუ პროექტის ბიუჯეტში არ შედის ხარჯის მუხლი „ზედნადები ხარჯები", თანადაფინანსების სავალდებულო მინიმალური მოცულობა არის ფონდიდან მოთხოვნილი თანხის 10%.

3. გრანტის სახსრებით დაუშვებელია უძრავი ქონების შეძენა, უძრავი ქონების იჯარა, კაპიტალური რემონტი/შენობა–ნაგებობის რეკონსტრუქცია, ავტომანქანის შეძენა.

მუხლი 6. კონკურსის ეტაპები

კონკურსის ძირითადი ეტაპებია:

ა) კონკურსის გამოცხადება;

ბ) პროექტების რეგისტრაცია ფონდის ელექტრონულ ბაზაში;

გ) კონკურსში მონაწილეობის შესახებ აპლიკანტთა მიერ ხელმოწერილი განცხადების შემოტანა ფონდში;

დ) საკონკურსო დოკუმენტაციის კონკურსის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

ე) პროექტების შეფასება დამოუკიდებელ ექსპერტთა მეშვეობით;

ვ) დამოუკიდებელ ექსპერტთა შეფასების საფუძველზე შერჩეული პროექტების საჯარო განხილვა სამეცნიერო საბჭოს წინაშე, გამარჯვებულების გამოვლენა და დამტკიცება;

ზ) დასაფინანსებლად შერჩეულ პროექტებში მონაწილე წამყვან, თანამონაწილე ორგანიზაციებთან, ძირითად პერსონალთან და თანადამფინანსებელთან საგრანტო ხელშეკრულებების გაფორმება.

მუხლი 7. საკონკურსო დოკუმენტაციის წარდგენა

1. კონკურსში მონაწილეობისათვის პროექტი მისი სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ დარეგისტრირებული უნდა იქნას ფონდის ელექტრონულ ბაზაში. პროექტის რეგისტრაცია ხდება ფონდის ვებგვერდიდან: www.rustaveli.org.ge . იქვეა განთავსებული რეგისტრაციის ინსტრუქცია.

2. პროექტის რეგისტრაციამდე ფონდის ვებგვერდზე მეცნიერის ელექტრონული რეგისტრაცია დასრულებული უნდა ჰქონდეს პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელსა და ძირითად პერსონალს (პროექტის ძირითადი პერსონალი მონაცემთა ბაზაში დარეგისტრირებული უნდა იყოს პირადობის მოწმობაში მითითებული მონაცემებით). აღნიშნული პირები ვალდებულები არიან ფონდის ელექტრონულ ბაზაში ატვირთონ მიღებული აკადემიური განათლების დამადასტურებელი დოკუმენტები. თუ მიღებული აკადემიური განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი გაცემულია უცხოეთში, პირი წარადგენს დოკუმენტის სანოტარო წესით დამოწმებულ თარგმანსა და სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემულ დოკუმენტს უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების შესახებ.

3. პროექტის ელექტრონული რეგისტრაციის ბოლო და, ამავე დროს, აუცილებელი საფეხურია პროექტის საბოლოო წარდგენა (იხ. რეგისტრაციის ინსტრუქცია). პროექტის საბოლოო წარდგენის შემდეგ პროექტის ატვირთული ვარიანტის რედაქტირება შეუძლებელი იქნება.
4. პროექტის საბოლოო წარდგენის შემდეგ ელექტრონული ბაზა დააგენერირებს „პროექტის წარმომდგენი იურიდიული და ფიზიკური პირების ერთობლივ განცხადებას კონკურსში მონაწილეობის შესახებ“, რომლის ნაბეჭდი ვარიანტი სათანადო ხელმოწერებითა და ბეჭდით/ბეჭდებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დამოწმებული წარდგენილ უნდა იქნას ფონდის კანცელარიაში.
5. თუ ფონდის კანცელარიაში წარდგენილი არ იქნება „პროექტის წარმომდგენი იურიდიული და ფიზიკური პირების ერთობლივ განცხადებას კონკურსში მონაწილეობის შესახებ“ პროექტი კონკურსში დარეგისტრირებულად არ ჩაითვლება, მიუხედავად ელექტრონული რეგისტრაციის დასრულებისა.
6. პროექტების ელექტრონული რეგისტრაცია შესაძლებელი იქნება 2014 წლის 13 მაისიდან 23 ივნისის 24 სთ-მდე. ელექტრონულად დარეგისტრირებული პროექტებისათვის „პროექტის წარმომდგენი იურიდიული და ფიზიკური პირების ერთობლივი განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ“ ფონდში წარმოდგენილი უნდა იყოს არაუგვიანეს 30 ივნისის 18 საათისა. ვადის დარღვევით შემოსული საკონკურსო დოკუმენტაცია ფონდში აღარ მიიღება.
7. პროექტის რეგისტრაციისას შესაძლებელია მიეთითოს არაუმეტეს სამი არასასურველი ექსპერტისა, რომელთაც შესაფასებლად წარმოდგენილი პროექტი არ გაეგზავნება.
7. იმ შემთხვევაში თუ პროექტი წარდგენილია ქართველოლოგიის მეცნიერებების ან ჰუმანიტარული, ეკონომიკური და სოციალური მეცნიერებების სამეცნიერო მიმართულებაში, პროექტის წარმდგენებს შეუძლიათ რეკომენდაციის სახით ფონდს მიუთითონ მათთვის სასურველი ოპცია: „უპირატესობას ვანიჭებ სრულად უცხოურ ექსპერტიზას“ ან „უპირატესობას ვანიჭებ შერეულ ექსპერტიზას“. ამ რეკომენდაციას ფონდისათვის არ ექნება სავალდებულო ხასიათი.
8. ფონდი უფლებამოსილია კონკურსის ნებისმიერ ეტაპზე კონკურსიდან მოხსნას პროექტები, რომლებიც არ შეესაბამება კონკურსის მიზნებისათვის დადგენილ მოთხოვნებს ან შეიცავს ყალბ ინფორმაციას.
9. პროექტის ქართული და ინგლისური ვერსიების იდენტურობაზე პასუხისმგებელია სამეცნიერო ხელმძღვანელი.
10. ფონდი არ ანაზღაურებს პროექტის მომზადებისა და წარდგენისათვის გაწეულ ხარჯებს.

მუხლი 8. პროექტების შეფასება

1. კონკურსის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მყოფი რეგისტრირებული პროექტი შეფასების I საფეხურზე გაივლის ექსპერტიზას წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმების მიხედვით.

2. ექსპერტები პროექტს აფასებენ №2 დანართით გათვალისწინებული პროექტის შეფასების კრიტერიუმების მიხედვით.

3. თითოეული პროექტი შეფასდება ორი ექსპერტის მიერ. თუ ორ შეფასებას შორის განსხვავება არის 20 ქულა ან ნაკლები, პროექტის შეფასება გამოითვლება მიღებული ორი შეფასების საშუალო არითმეტიკულით.

4. თუ ორი ექსპერტის შეფასებას შორის განსხვავება არის 20 ქულაზე მეტი, პროექტი სარეცენზიოდ გაეგზავნება მესამე ექსპერტს. მიღებული სამი შეფასებიდან დაწყვილდება ერთმანეთთან ყველაზე ახლო მდგომი ორი შეფასება და მათი საშუალო არითმეტიკული იქნება პროექტის საბოლოო შეფასება, ხოლო მესამე განსხვავებული შეფასება მხედველობაში არ იქნება მიღებული. იმ შემთხვევაში, თუ სამი შეფასებიდან უმცირესი და უმაღლესი შეფასება თანაბრად განსხვავდება საშუალო შეფასებიდან, პროექტის საბოლოო შეფასებად ჩაითვლება საშუალო შეფასება (მაგალითად, თუ პროექტის შეფასებებია 60, 80 და 100 ქულა, საბოლოო შეფასებად ჩაითვლება 80 ქულა).

5. პროექტი სარეცენზიოდ არ გაეგზავნება მესამე ექსპერტს, თუ თავდაპირველი ორი ექსპერტის შეფასებისაგან არცერთია 70 ქულაზე მაღალი.

6. პროექტები, რომლებიც შეფასების პირველ საფეხურზე მიიღებენ სამეცნიერო საბჭოს მიერ განსაზღვრულზე უფრო მაღალ შეფასებას, გადადიან II საფეხურზე, რაც ითვალისწინებს სამეცნიერო საბჭოს წინაშე პრეზენტაციით წარდგომას. სამეცნიერო საბჭოს მიერ განსაზღვრული მეორე საფეხურზე გადასვლისათვის საჭირო ზღვრული შეფასება შესაძლებელია განსხვავდებოდეს სხვადასხვა სამეცნიერო მიმართულებისათვის, მაგრამ არ უნდა იყოს 85 ქულაზე ნაკლები. პროექტების განხილვისას სამეცნიერო საბჭო უფლებამოსილია მოიწვიოს დარგის დამოუკიდებელი სპეციალისტები. ამასთან, სამეცნიერო საბჭო უფლებამოსილია მოითხოვოს პროექტების - დაკორექტირება (ბიუჯეტის ჩათვლით).

7. ექსპერტთა ვინაობა კონფიდენციალურია.

8. კონკურსის შედეგების გამოცხადების შემდეგ, პროექტის ძირითადი პერსონალის, წამყვანი/თანამონაწილე ორგანიზაციის მოთხოვნის შემთხვევაში, ფონდი უზრუნველყოფს მათი პროექტის შესახებ ექსპერტთა მიერ გაკეთებული დასკვნების გაცნობას.

9. ექსპერტი შეფასებას დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით ახდენს დამოუკიდებლად, მიუკერძოებლად, მხოლოდ საკუთარი ცოდნისა და შეხედულებების შესაბამისად და ფონდის მხრიდან რაიმე სახის ჩარევის გარეშე.

მუხლი 9. ინტერესთა კონფლიქტი

1. დაუშვებელია ექსპერტი იყოს პირი, რომელიც არის ამავე კონკურსის მონაწილე.

2. დაუშვებელია კონკურსში ფონდის თანამშრომლის მონაწილეობა;

3. დაუშვებელია კონკურსში სამეცნიერო საბჭოს წევრის მონაწილეობა პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელის, ძირითადი ან დამხმარე პერსონალის სტატუსით.

4. არ შეიძლება პროექტების დამტკიცების პროცესში მონაწილეობდეს სამეცნიერო საბჭოს ის წევრი, ან იყოს ექსპერტი პირი:

ა) რომელსაც აქვს საერთო პუბლიკაცია ძირითად პერსონალთან ან მონაწილეობდა მასთან ერთსა და იმავე სამეცნიერო-კვლევით პროექტში;

ბ) რომელმაც შესაძლოა უშუალოდ მიიღოს პროფესიული, ფინანსური ან პირადი სარგებელი პროექტის გამარჯვების ან დამარცხების შემთხვევაში;

გ) რომელსაც აქვს პროექტის თემატიკის ან კვლევის მეთოდიკის შესახებ პროექტის ავტორებისაგან ფუნდამენტურად განსხვავებული პოზიცია;

დ) რომელიც თვითონ არის დაინტერესებული მხარე პროექტში; პროექტში მონაწილე დაინტერესებული მხარის ნათესავია; პროექტში მონაწილე

დაინტერესებული მხარის წარმომადგენელია; შრომით ურთიერთობაშია პროექტში მონაწილე დაინტერესებულ მხარესთან.

3. ამ დებულების მიზნებისათვის ნათესავად ჩაითვლება:

ა) პირდაპირი ხაზის ნათესავი;

ბ) მეუღლე, მეუღლის და-ძმა და პირდაპირი ხაზის ნათესავი;

გ) აღმავალი ხაზის პირდაპირი ნათესავის და-ძმა;

დ) და-ძმა, მათი მეუღლეები და შვილები.

4. სამეცნიერო საბჭოს წევრი და ექსპერტი ვალდებულია, სამეცნიერო საბჭოს/ფონდის გენერალურ დირექტორს ოფიციალურად აცნობოს ამ მუხლში აღნიშნული გარემოებისა და თვითაცილების შესახებ.

5. იმ შემთხვევაში, თუ ინფორმაცია ექსპერტის ინტერესთა კონფლიქტის შესახებ ფონდისთვის ცნობილი გახდება დასაფინანსებლად შერჩეული პროექტების სამეცნიერო საბჭოს მიერ დამტკიცებამდე, ფონდი უფლებამოსილია, იმსჯელოს ექსპერტის მიერ გაკეთებული შეფასების გაუქმების შესახებ.

მუხლი 10. საგრანტო ხელშეკრულება

1. დასაფინანსებლად შერჩეული პროექტების სამეცნიერო საბჭოს მიერ დამტკიცების შემდეგ ფონდი უზრუნველყოფს საგრანტო ხელშეკრულებათა გაფორმებას პროექტებში მონაწილე ძირითად პერსონალს, წამყვან და თანამონაწილე ორგანიზაციებთან და თანადამფინანსებელთან.

2. საგრანტო ხელშეკრულების გაფორმებამდე წამყვანი და თანამონაწილე ორგანიზაციები ფონდს წარუდგენენ წერილობით დადასტურებას იმის შესახებ, რომ არა აქვთ სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე დავალიანება.

3. პროექტის ფარგლებში შექმნილი გამოგონების დაპატენტების უფლება ეკუთვნის ფონდსა და გრანტის მიმღებს. შესაბამისად, იმ შემთხვევაშიც თუ აღნიშნულ გამოგონებას დააპატენტებს გრანტის მიმღები, ფონდს წარმოეშობა პატენტიდან გამომდინარე განსაკუთრებული უფლებები. პატენტიდან გამომდინარე განსაკუთრებული უფლებების გამოყენებიდან მიღებული მოგების პროცენტულობა განისაზღვრება შემდეგნაირად: 50% - გრანტის გამცემს და 50 % - გრანტის მიმღებს. აღნიშნულთან დაკავშირებით გრანტის გამცემსა და გრანტის მიმღებს შორის წარმოშობილი ურთიერთობები დარეგულირდება პატენტის მიღების შემდგომ გასაფორმებელ ხელშეკრულებაში.

4. გრანტის მიმღებს ეკრძალება შექმნილ ნაწარმოებზე არსებული განსაკუთრებული უფლებების 5 წლის განმავლობაში მთლიანად ან ნაწილობრივ ნებისმიერი ფორმით გადაცემა მესამე პირისათვის ფონდის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე (ტერმინი „ნაწარმოები“ აქ გულისხმობს წიგნს, ბროშურას, კომპიუტერულ პროგრამას, რუკას, გეგმას, ესკიზს, ილუსტრაციას, თარგმანს, კრებულს, ენციკლოპედიას, ანთოლოგიას, მონაცემთა ბაზას და „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ სხვა სახის ნაშრომებს).

5. ფონდი უფლებამოსილია, გრანტის მიმღების მიერ ყოველი საანგარიშო პერიოდის დაწყებამდე, არა უგვიანეს 20 დღით ადრე, წარდგენილი დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე, საგრანტო ხელშეკრულების სამოქმედო გეგმაში ან/და ხარჯთაღრიცხვაში განახორციელოს ცვლილება.

მუხლი 11. პროექტის შესრულების მონიტორინგი

1.საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტრანშებს ფონდი რიცხავს ავანსის სახით და ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს ახორციელებს დაფინანსებული პროექტების მონიტორინგს, რომელიც მოიცავს პროექტის განხორციელების ფინანსურ და პროგრამულ მონიტორინგს.

2. ფინანსური მონიტორინგი გულისხმობს საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში ფონდის მიერ გადარიცხული თანხების ხარჯვის შესაბამისობის დადგენას ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ხარჯთაღრიცხვასთან.

3. პროგრამული მონიტორინგი გულისხმობს საგრანტო ხელშეკრულებით დაგეგმილი ამოცანების შესრულების დამადასტურებელი ანგარიშის შემოწმებას.

4. ფონდის მიერ მონიტორინგის განხორციელებისას:

ა) მიზნობრივ ხარჯად ჩაითვლება საგრანტო ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვის ძირითადი ხარჯვითი კატეგორიის ფარგლებში განხორციელებული ხარჯი, თუ იგი მიეკუთვნება ამ ხარჯვით კატეგორიას;

ბ) არამიზნობრივ ხარჯად ჩაითვლება საგრანტო ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვით გაუთვალისწინებელი ხარჯი. აღნიშნული ხარჯი ექვემდებარება მიზნობრივ საგრანტო ანგარიშზე დაბრუნებას;

გ) გადახარჯვად ჩაითვლება საანგარიშო პერიოდში საგრანტო ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვის კონკრეტული მუხლებით გათვალისწინებული ხარჯების გაწევა სხვა მუხლებში არსებული რესურსით, იმ შემთხვევაში, თუ გადახარჯულ მუხლში მომავალი ტრანშით ჩასარიცხი თანხა აღემატება ან ტოლია სხვა მუხლიდან გადახარჯული მუხლით გათვალისწინებული ხარჯებისათვის გამოყენებულ რესურსს, გადახარჯვა არ ჩაითვლება ხარვეზად და არ წარმოადგენს პროექტის შეჩერების საფუძველს;

დ) ნაშთად ჩაითვლება საანგარიშო პერიოდში გაუხარჯავი რესურსი, რომელიც შესაძლოა გაიხარჯოს მომდევნო საანგარიშო პერიოდებში.

5. პროექტის შეჩერება ან/და შეწყვეტა ხორციელდება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დადგენილი წესის შესაბამისად.

6. საგრანტო დაფინანსების შეწყვეტის შემთხვევაში პროექტის ფარგლებში შეძენილი ქონება გადაეცემა ფონდს საკუთრებაში.

7. პროექტი ჩაითვლება დასრულებულად, თუ:

ა) პროექტის ფარგლებში ავანსად გადარიცხულ ყველა ტრანშზე პროექტის დახურვის მომენტში წარდგენილია შუალედური და საბოლოო ანგარიშები და პროექტი არ არის შეჩერებული ან შეწყვეტილი;

ბ)პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ წარდგენილი იქნება პროექტში განხორციელებელი კვლევისა და მიღწეული შედეგების შესახებ ანოტაცია, პროექტის ფარგლებში გამოქვეყნებული პუბლიკაციების/პატენტების მითითებით;

8. ამ მუხლის მე-7 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში აღნიშნული ანოტაცია შესაძლებელია გახდეს საჯაროდ ხელმისაწვდომი.

დანართი N2
დამტკიცებულია
სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო
ფონდის გენერალური დირექტორის
2014 წლის 29 აპრილის № 37 ბრძანებით

ეს განცხადება ავტომატურად შეივსება ფონდის ვებგვერდზე კონკურსანტების მიერ ელექტრონულ ბაზაში პროექტის რეგისტრაციის დასრულების შემდეგ!

გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2014 წლის კონკურსში
პროექტის წარმომდგენი იურიდიული და ფიზიკური პირების ერთობლივი
გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი, წარმოგიდგენთ რა ინფორმაციას საკონკურსო პროექტის შესახებ, ვადასტურებთ, რომ გავეცანით „გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის N85 დადგენილებას, აგრეთვე, სსიპ–შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2014 წლის 29 აპრილის N37 ბრძანებას „გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2014 წლის კონკურსის გამოცხადების, კონკურსის ჩატარების წესისა და საკონკურსო დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცების შესახებ", საგრანტო პროექტების შეფასების მეთოდს და ჩვენი ხელმოწერით ვაცხადებთ კონკურსის პირობებზე თანხმობას. ასევე ვადასტურებთ, რომ ჩვენ მიერ ფონდის ელექტრონულ სისტემაში ატვირთული ინფორმაცია ზუსტია და არ შეიცავს ყალბ მონაცემებს. ამასთან, წამყვანი და თანამონაწილე ორგანიზაციების ხელმძღვანელები ვადასტურებთ პროექტის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არსებობას.

ვეთანხმებით, რომ ფონდი უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს გადაამოწმოს ამ ინფორმაციის სიზუსტე და რაიმე სიყალბის აღმოჩენის შემთხვევაში მოხსნას წარმოდგენილი პროექტი კონკურსიდან. გთხოვთ, დაარეგისტრიროთ ჩვენი პროექტი გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2014 წლის კონკურსში.

1. პროექტის შიფრი: AR/--/---/14
2. პროექტის სახელწოდება:
3. პროექტის საერთო ბიუჯეტი (ლარი):
მათ შორის:
3.1 ფონდიდან მოთხოვნილი თანხა (ლარი):
3.2 თანადაფინანსება (ლარი):
4 . პროექტის ხანგრძლივობა (თვეები):
5. პროექტის წარმომდგენი:

წამყვანი ორგანიზაციის სახელწოდება	ორგანიზაციის იურიდიული სტატუსი	წამყვანი ორგანიზაციის ხელმძღვანელის გვარი, სახელი	ხელმოწერა

ბეჭედი

თანამონაწილე ორგანიზაციის სახელწოდება	ორგანიზაციის იურიდიული სტატუსი	თანამონაწილე ორგანიზაციის ხელმძღვანელის გვარი, სახელი	ხელმოწერა

ბეჭედი

თანადამფინანსებლის სახელწოდება	ორგანიზაციის იურიდიული სტატუსი	ორგანიზაციის ხელმძღვანელის გვარი, სახელი	თანადაფინანსება	ხელმოწერა

ბეჭედი

პროექტში მონაწილე ძირითადი პერსონალი (გვარი, სახელი)	როლი პროექტში	ხელმოწერა

	სამეცნიერო ხელმძღვანელი	

დანართი N3
დამტკიცებულია
სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო
ფონდის გენერალური დირექტორის
2014 წლის 29 აპრილის № 37 ბრძანებით

გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსში წარმოსადგენი საპროექტო წინადადების ფორმა

1. პროექტის არსი და მეცნიერული ღირებულება

1.1 პროექტის მიზანი, შესასრულებელი ამოცანები ეტაპების მიხედვით და მოსალოდნელი შედეგების ინდიკატორები

(პრობლემის მოკლე მიმოხილვა; პროექტის საბოლოო მიზანი; დასაბუთება, თუ რატომ არის პროექტი მნიშვნელოვანი და აქტუალური; პროექტის მიზნის მისაღწევად შესასრულებელი ამოცანების ჩამოთვლა და მოკლე აღწერა მოსალოდნელი შედეგების ჩათვლით და სხვ. სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა 1500-2000.)

ამოცანების ჩამონათვალი პერიოდებისა და შემსრულებლების მითითებით

№	ამოცანის დასახელება	ამოცანის შესრულების სავარაუდო დრო თვეების მიხედვით	ძირითადი შემსრულებლები
1		(მაგ., მე-9-12 თვე)	
2			
3			
4			
n			

პროექტის საანგარიშო პერიოდებში ჩატარებული სამუშაოს მოსალოდნელი შედეგების თვლადი ინდიკატორები ეტაპების მიხედვით

№	I პერიოდი (1-6 თვე)	II პერიოდი (მე-7-12 თვე)	III პერიოდი (მე-13-18 თვე)	IV პერიოდი (მე-19-24 თვე)
	თვლადი ინდიკატორების ჩამონათვალი	თვლადი ინდიკატორების ჩამონათვალი	თვლადი ინდიკატორების ჩამონათვალი	თვლადი ინდიკატორების ჩამონათვალი
1		1	1	1
2		2	2	2
3		3	3	3
n		n	n	n

- *თვლადი ინდიკატორი*: კონკრეტულ საანგარიშო პერიოდში/ეტაპზე პროექტის ამოცანების შესრულების შედეგად მიღებული ერთი, ან რამოდენიმე თვლადი შუალედური შედეგი. მაგალითად, გამოქვეყნდება 2 სამეცნიერო პუბლიკაცია; მომზადდება 3 საკონფერენციო თეზისი; დამზადდება ექსპერიმენტული დანადგარის კონკრეტული (დასახელება) ბლოკ-სქემა და სხვ.
- თვეები/პერიოდები გადათვალეთ პროექტის დაწყებიდან.

1.2 კვლევის ინოვაციურობა, მეთოდიკის მეცნიერული დასაბუთება და შესაბამისობა პროექტის მიზნებთან

(აღწერეთ: პროექტში განსახორციელებელი ამოცანების მეცნიერული და ტექნოლოგიური სიახლე; ინოვაციური მიდგომები დაგეგმილ კვლევაში; პროექტში დაგეგმილი ამოცანების გადასაჭრელად საჭირო მეთოდები და საშუალებები/გზები; პროექტის რეალიზაციის პროცესში მოსალოდნელი სირთულეები და მათი გადაწყვეტის მეთოდები და სხვ. სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა 500-1000.)

2. პროექტის გამოყენებითი პოტენციალი

2.1 კვლევის მოსალოდნელი პროდუქტის ადგილობრივი და/ან საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნილებებთან შესაბამისობა

(კვლევის მოსალოდნელი პროდუქტის პოტენციური მომხმარებლის/ბაზრის მიმოხილვა; სამომხმარებლო ბაზრისათვის პროექტის მოსალოდნელი შედეგების კონკურენტუნარიანობის, უპირატესობის, უნიკალობის დასაბუთება; პროექტის განხორციელების მოსალოდნელი სოციალურ-ეკონომიკური ეფექტი კონკრეტული რეგიონისათვის, ქვეყნისათვის, სოციალური სფეროსათვის, დარგისათვის და სხვ. სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა 500-800.)

2.2 კვლევის შედეგების გამოყენების რეალურობა და მდგრადობა

(აღწერეთ: პროექტის დასრულების შედეგად მოსალოდნელი მოწყობილობის, ტექნოლოგიის, პროდუქტის, კონსტრუქციის და ა.შ ახალი, ან გაუმჯობესებული ნიმუშის/პროტოტიპის შექმნისა და დანერგვის რეალურობა; პროექტის ფარგლებში ან მისი დასრულების შემდეგ კვლევასა და ბიზნესს შორის პარტნიორობის შესაძლო სისტემა; პროექტში დაწყებული საქმიანობის გაგრძელების პერსპექტივა დაფინანსების დახმარებით ან მის გარეშე და სხვ. სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა 300-700.)

3. პროექტის მართვა

(მოკლედ აღწერეთ პროექტში ადამიანური და ტექნიკური რესურსების მართვის სქემა და დასაბუთება; დაასაბუთეთ შესასყიდი საქონლის/მომსახურების რაოდენობრივი მაჩვენებლების კავშირი შესასრულებელ ამოცანებთან. სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა 200-500.)

1. Essence of the Project and its Scientific Value

1.1 Purpose of the project, Tasks to be accomplished for each stage and indicators of the expected results

(Brief description of the problem; ultimate goal of the project; justification, why is the project important and topical; list of tasks to be accomplished to meet the goal of the project including the brief description of expected outcomes, etc. Recommended number of words 1500-2000)

List of Tasks with timeline and personnel involved

№	Title of the task	Expected time needed for accomplishment of the task, in months	Key Personnel
1		(For Example, 9-12 months)	
2			
3			
4			
n			

For each stage: Countable indicators of the accomplished work's expected outcomes in the reporting period

№	I period (1-6 months)	II period (7-12 months)	III period (13-18 months)	IV period (19-24 months)
	List of countable indicators	List of countable indicators	List of countable indicators	List of countable indicators
1		1	1	1
2		2	2	2
3		3	3	3
n		n	n	n

(Countable Indicator: *One or several countable interim outcome/s achieved after accomplishment of each task in reporting period/stage. For example, 2 scientific articles will be published; 3 conference theses will be prepared; specific (name) block-scheme of experimental device will be constructed, etc.).*

- Count months/periods from the starting date of the project.

1.2 Novelty of research, scientific justification of methods and compliance with the goals of the project

(Describe: Scientific and technological novelty of the tasks accomplished within the project; Innovative approaches in the planned research; Necessary methods and means/ways; to fulfil the planned tasks of the project, Expected difficulties during realization of the project's objectives and the ways to overcome them, etc. Recommended number of words 500-1000)

2. Applied potential of the project

2.1 Research's expected product to meet the demands of the local and/or International markets

(Survey of the research expected product's potential customer/ market; Justification of the project's expected outcomes competitiveness, advantage, uniqueness; expected social-economic impact of the project

implementation for specific region, country, social sphere, domain. etc. Recommended number of words 500-800)

2.2 Feasibility and sustainability of the reseach results application

(Describe: Feasibility of creation and development of: device, technology, product, construction, new or improved specimen/prototype; establishment of partner relations between research and business during and after completion of the project; Prospects for continuation of the activities started in the project with or without any financial support,etc. Recommended number of words 300-700)

3. Management of the Project

(Briefly describe and justify the scheme of human and technical resources management in the project; Justify the correspondence between quantitative indicators of the product/service to be purchased with the tasks to be accomplished. Recommended number of words 200-500)

დანართი N4
დამტკიცებულია
სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო
ფონდის გენერალური დირექტორის
2014 წლის 29 აპრილის # 37 ბრძანებით

პროექტის ბიუჯეტი

N	ხარჯის კატეგორია	I ტრანში	II ტრანში	III ტრანში	IV ტრანში	ჯამური ღირებულება
1	ძირითადი პერსონალის შრომის ანაზღაურება	-	-	-	-	-
2	დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურება					-
3	მივლინება					-
4	საქონელი და მომსახურება					-
5	ძირითადი აქტივები					-
6	ზედნადები ხარჯი					-
	ჯამი	-	-	-	-	-
ფონდის წილი						
თანადამფინანსებლის წილი						

დანართი N5
დამტკიცებულია
სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო
ფონდის გენერალური დირექტორის
2014 წლის 29 აპრილის № 37 ბრძანებით

პროექტის რეზიუმე

პროექტის შიფრი

პროექტის დასახელება

კვლევის ქვემიმართულება/ქვემიმართულებები

წამყვანი ორგანიზაციის დასახელება

ვებგვერდი

თანამონაწილე ორგანიზაციის დასახელება

ვებგვერდი

თანადამფინანსებელი ორგანიზაციის დასახელება

ვებგვერდი

თანადაფინანსება

პროექტის საერთო ბიუჯეტი (ლარი)

ფონდიდან მოთხოვნილი თანხა (ლარი)

პროექტის ხანგრძლივობა (თვეები)

პროექტის ძირითადი შემსრულებლები

№	პროექტში მონაწილე ძირითადი პერსონალი (გვარი, სახელი)	პოზიცია პროექტში	აკად. ხარისხი	დაბადების წელი

პროექტის რეზიუმე

დანართი N6
დამტკიცებულია
სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო
ფონდის გენერალური დირექტორის
2014 წლის 29 აპრილის № 37 ბრძანებით

პროექტის მონაწილეთა ავტობიოგრაფია (CV)

პერსონალური მონაცემები

სახელი, გვარი (ქართულად):

სახელი, გვარი (ინგლისურად:)

სქესი:

მოქალაქეობა:

ელფოსტა:

პირადი ნომერი (11 ნიშნა):

დაბადების თარიღი:

მისამართი:

ქალაქი:

საფოსტო ინდექსი:

ქუჩა, სახლი, ბინა:

ტელეფონი:

მობილური:

სამსახური:

ბინა:

ინტერნეტი

ვებგვერდი:

პროფესიული მოღვაწეობა

სამეცნიერო / აკადემიური ხარისხი:

სამუშაო ადგილი/ორგანიზაცია:

თანამდებობა (ქართულად):

თანამდებობა (ინგლისურად):

სამეცნიერო კვლევის მიმართულებები

მიმართულება 1

ქვემიმართულება 1

მიმართულება 2

ქვემიმართულება 2

მიმართულება 3

ქვემიმართულება 3

საკვანძო სიტყვები

ქართულად:

ინგლისურად:

განათლება

N	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სპეციალობა	აკადემიური ხარისხი	წლები

ტრენინგები

	კურსის დასახელება	ტრენინგის ჩატარების ადგილი და ორგანიზაცია	წლები

სამუშაო გამოცდილება

N	ორგანიზაციის დასახელება	სტრუქტურული ერთეულის დასახელება	თანამდებობა	წლები

პუბლიკაციები

პუბლიკაციების რაოდენობა:

ციტირების ინდექსი:

პუბლიკაციები იმპაქტ-ფაქტორიან / მაღალრეიტინგულ ჟურნალებში, მონოგრაფიები:

N	ავტორ(ებ)ი	პუბლიკაციის სათაური	ჟურნალის/გამომცემლობის დასახელება, ტიპი/ტომი, გვერდები, პუბლიკაციის ელექტრონული მისამართი.	წელი

პატენტები (გამოგონებები)

N	პატენტის დასახელება	პატენტის გამცემი ორგანიზაცია	პატენტის სარეგისტრაციო ნომერი	პატენტის გაცემის წელი

სამეცნიერო საგრანტო პროექტებში მონაწილეობა

N	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის დასახელება	როლი პროექტში	წლები

საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებში (კონფერენციებში) მონაწილეობა

N	ღონისძიების დასახელება	მოხსენების სათაური	ღონისძიების ჩატარების ადგილი	წელი

დამატებითი ინფორმაცია

(სურვილის შემთხვევაში)

უცხო ენების ცოდნა

	ენის დასახელება	უცხო ენის ცოდნის დონე

სამეცნიერო ორგანიზაციების, საბჭოებისა და სამეცნიერო ჟურნალების სარედაქციო კოლეგიების წევრობა:

	ორგანიზაციის დასახელება	სტატუსი	წლები

სტიპენდიები

ჯილდოები